

ივანე ამირხანაშვილი  
(საქართველო)

### კანონი როგორც ფუნქცია (კიმენი)

აქ ცხოვრება თავის თავს იმეორებს. სინამდვილე თვითიგივეობის ზღვარზეა. სიტყვა მაქსიმალურად უახლოვდება რეალობას. მოქმედება და ფრაზა უნისონშია. სასაუბრო ინტონაცია და მშვიდი ტონალობა ტექსტის სპეციფიკური ნიშანია. საგნები და იდეა ერთიან ყალიბშია მოქცეული.

ყველაფერი ემსახურება თხრობის უწყვეტობას. თხრობა არის ხაზოვანი და თანმიმდევრული, პაუზების გარეშე: მეტი ამბავი, ნაკლები განსჯა; მეტი ენერგია, ნაკლები სამშვენისი; მეტი მთავარი, ნაკლები – მეორეხარისხოვანი. დოკუმენტური სიზუსტე სჭარბობს მხატვრულ გამომსახველობას.

არაფერია ისეთი, რასაც შეიძლება აქსესუარი ენოდოს. არაფერია შემთხვევითი, ზედმეტი, არასაჭირო, ტექსტი ვითარდება, განივრცობა, ოღონდ არ ინელება.

ყოველი ფრაზა, აბზაცი, ეპიზოდი სასრულობის, ფინალობის სულისკვეთებით სუნთქავს. მკითხველის ყურადღება მობილიზებულია და მიმართულია მოქმედების განვითარებისკენ. სიუჟეტურობის პრიმატი იგრძნობა ყველა წვრილმანში.

რაციონალური სიუჟეტი მთლიანი, ერთიანი მატერიაა, რომელიც შედგება ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ნაწილებისგან. თხრობა იყოფა ეპიზოდებად, ამბებად, სურათებად. ერთფეროვნების პრევენციას ეწევა თხრობის თანაბარი მდინარება, აზრის დიალექტიკური განვითარება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აბზაცებს შორის.

მიზანი: გადმოიცეს აზრი ყველაზე მარტივი, უშუალო, ძალდაუტანებელი ფორმებით. შეიქმნას ალქმის მაქსიმალური ხარისხი, გონების მინიმალური დაძაბვით.

შედეგი: სინათლე, სიმწყობრე და გამჭვირვალობა თხრობაში. სტრუქტურული სიმყარე ტექსტში. ენერგია და ანტიქაოსი რეცეფციაში.

ეს არის კიმენი – ბაზისური ჟანრი, რომელზეც განვითარდა კლასიკური აგიოგრაფია.

მეტაფრასის წყარო კიმენია. აგიოგრაფიული ტექსტების „გარდაკაზმვა“ ანუ გადამეტაფრასება კიმენიდან დაიწყო.

კიმენი ანუ ძველბერძნულად „კეიმენონ“ ნიშნავს „მდებარეს“. ასე უწოდებდნენ ძველ მარტილობა-ცხოვრებათა ხელუხლებლად მდებარე, შეუსწორებელ, განუმარტებელ ტექსტს (კეკელიძე 1972: 67). ეფრემ მცირეს განმარტებით, კიმენი ერქვა წმინდანთა ცხოვრების ძველ, თავდაპირველ რე-

დაქციას (კეკელიძე 1972: 67). პატიოსანი, ღირსეული, „სიტყვათათვის არა მოღვაწე“ კაცები წერდნენო კიმენს (კეკელიძე 1972: 67). ძველ ქართულ ლიტერატურაში კიმენი ეწოდებოდა აგრეთვე წმინდა წერილის ტექსტს. ბიზანტიაში იურიდიულ ტექსტს ერქვა კიმენი, მის განმარტებებს კი „სხოლია“ (კეკელიძე 1972: 67-68).

ერთი სიტყვით, კიმენი არის ლიტონად, მარტივად დაწერილი, დაუმუშავებელი, გადაუკეთებელი, გარდაუქმნელი, ხელუხლებელი ტექსტი წმინდანის მარტივობისა ან ცხოვრებისა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კიმენი არ არის თავდაპირველი ტექსტი. მისი წინარე ტექსტი არის „ძუელი ქარტა“, რომელიც შეიძლება ყოფილიყო რამდენიმე საუკუნის წინათ ჩაწერილი დოკუმენტი. მაგალითად, „ლუკიანოზის მარტივობის“ ავტორი გვაუწყებს, რომ თავისი კიმენი გადმოიღო „ძუელისა ქარტისაგან, რომელსა შინა წერილ იყო ხსენებაი წმიდისა ამის მოწამისაი“ (კიმენი 1946: 16).

კიმენის ენა მართლაც მარტივია, სადაა, ლიტონია, მაგრამ არა სასაუბრო; თხრობა მსუბუქია, ბუნებრივია და არა ნატურალისტური; ტროპული სისტემა მწირია, მაგრამ არა ღარიბული; ტექსტი შაბლონურია, მაგრამ არა მოსაწყენი; აქ არ არის ადგილი მახვილსიტყვაობისა და ფილოსოფოსობისათვის, თუმცა გვაქვს ზომიერი რიტორიკა, თანაბარი რიტმი, მოკლე პაუზები, მოვლენათა თანმიმდევრული წყობა, სიუჟეტური დინამიკა.

დინამიზმი მიიღწევა არა ტროპული სისტემის განვითარებით, არამედ ყოფითი მხარის ინტენსივობით. იშვიათად იყენებს მეტაფორას, შედარებას, ეპითეტს, სამაგიეროდ, აძლიერებს თხრობას, რომელშიც მთავარი ფუნქცია აკისრია ამბავს, მოვლენას, ფაქტს. სინამდვილეა მთავარი ორიენტირი. ცხოვრებისეული ნაკადი – შენარევების გარეშე! მატერია ფარავს მეტაფიზიკას. დოკუმენტურობა გამორიცხავს ფიქციას, ემპირია ბატონობს ფანტაზიაზე.

ბერძნული ენის გავლენა ეტყობა ტექსტებს იმ მხრივ, რომ ძალიან ხშირად არის გამოყენებული „და“ კავშირი როგორც წინადადების დასაწყისში, ისე წინადადების შიგნით. კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან თხზულებები ბერძნულიდან არის თარგმნილი.

სწორი გრამატიკა და დახვეწილი სტილი ავსებს ტროპის დეფიციტს. კითხვის დროს გრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ მეტაფრასთან, მაგრამ სინამდვილეში კიმენი მეტაფრასისგან ისე განსხვავდება, როგორც ზეპირი ამბავი დაწერილი ტექსტისაგან. მსგავსების ილუზიას, პირველ რიგში, ქმნის მდიდარი ლექსიკა და ჰარმონიული სინტაქსი.

კიმენი ძირითადად რაციონალური იერსახის ტექსტია, ფრაზა რაციონალურობით ფხიზლობს.

ავტორი, როგორც სუბიექტი, მაქსიმალურად იცავს ნეიტრალიტეტს: არ ერევა თხრობის დინამიკაში, არ აწუხებს მკითხველს, თუმცა დამახასიათებელი უშუალობისა და ბუნებრიობის მეშვეობით ამცირებს მანძილს ტექსტსა და მკითხველს შორის, რითაც აძლიერებს ემოციურ კავშირს მსმენელთან.

გრძნობიერების ფორმას ქმნის არა ტროპიკა და სხვა დამხმარე საშუალებები, არამედ ფაქტი, ფაქტის რეალური კონტურების გამკვეთება.

ავტორი არ ჩანს წინა პლანზე, არ აქტიურობს. შეიძლება ტექსტის მინაწერში ახსენოს თავისი სახელი, სულ ეს არის. ავტორის ვინაობა მეორეხარისხოვანია, რადგან ამბავია მთავარი, წმინდათა წმინდა, ანი და ჰოე თხზულებისა.

ავტორი არ გახლავთ მემატინანე, ის უფრო მთხრობელია. მას არ აინტერესებს გმირის ბიოგრაფია, დაბადება, ბავშვობა, ოჯახი, ყოფითი წვრილმანები. მთელ ყურადღებას უთმობს ამბავს – რომელიც წარმოადგენს კონფლიქტს ანტიქრისტიანულ ძალებთან, რომელიც უნდა იქცეს ლეგენდად, თაობათა ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალებად.

კიმენში ძნელი გამოსარჩევია ინდივიდუალურ ისტილი, მაგრამ ჩანს ინდივიდუალური მიმართება ჟანრის კანონთან. ავტორი საჭიროებისამებრ იყენებს თხრობის ამა თუ იმ ფორმას. ამბავს გადმოსცემს როგორც მესამე, ისე პირველი პირის მეშვეობით; აზრი და ემოცია მკითხველამდე მოაქვს პირდაპირ, უშუალოდ, ძალდაუტანებლად; კომუნიკაციას ახორციელებს ხაზგასმული მგრძნობელობის, შეფასებითობის, კატეგორიულობისა და ექსპრესიულობის გზით; იყენებს გადმოსცემის სუბიექტურ და ლოგიკურ ფორმებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ობიექტურს ან ნეიტრალურს.

შედეგზე მუშაობს, ჰყავს ადრესატი და იცის, როგორ იმოქმედოს მის ემოციასა და განწყობილებაზე, არის მიზანმიმართული, აქტიური, ეფექტური გავლენის მქონე, ქმნის სქემას – გამოკვეთილს, მშრალს, კომპაქტურს.

ავტორი იცავს არსებულ შაბლონს, კანონს, წესს, სტანდარტს, სქემას იმისათვის, რათა შეინარჩუნოს აქტუალურობა დროსა და სივრცეში; მისდევს მცირე ჟანრის პოეტიკას – იწყებს მოკლე შესავლით, განაგრძობს ვრცელი სიუჟეტით და ამთავრებს ასევე მოკლე ფინალით.

კიმენს აქვს ჩამოყალიბებული ტრადიციული სტილი და ფორმა. მეტაფრასთან შედარებით, მცირე ფორმისაა, მაგრამ მინიატურულ პროზას მაინც ვერ ვუწოდებთ, რადგან თხრობის მანერა თავისი ხასიათით ეპიკურია. არც მოცულობითი სტანდარტი ჩანს, გვხვდება მცირე მოცულობის ტექსტებიც და ვრცელი თხზულებებიც.

უშუალობა – გამოკვეთილი ტონი, რომელიც თავიდან ბოლომდე მსჭვალავს როგორც თითოეულ ნაწარმოებს, ისე კიმენის ჟანრს საზოგადოდ. მაგალითად, როდესაც „მოლუანებაი წმიდისა ბასილისი“ იწყება ასე: „შვილო, საყვარელო სეტრონიე“, ამკარაა, რომ ეს არის კამერტონი, რომელზეც უნდა აიგოს კითხვის რიტმი და აღქმის პროცესი. მით უმეტეს, მომდევნო აბზაცი შესაბამის განწყობილებას უფრო ამყარებს: „ესე წმიდაი ბასილი, შვილო სეტრონიე, სანთელი იყო აღნთებული ბრწყინვალეი“ (კიმენი 1918: 1).

დასაწყისი ფრაზა ისეთივე უბრალოა, როგორც თხრობის სტილი. მაგალითად: „თხრობად თქუენდა მნებავს, საყვარელნო, და უწყებად საქმესა წარმართებასა კაცისა ამის“ („ცხოვრება პანსოფი ალექსანდრიელისა“);

„იყო სამგზის სანატრელი ბაბილა ეპისკოპოსი, რომელმან კეთილად იცოდა მწყსაი ცხოვართაი“ („წამები წმიდისა ბაბილასი“);

„და იყო, რაჟამს იგი დაეთესა სიტყუად: წმიდისა სახარებისაი...“ („წამები კვიროსისა და იოვანესი“);

„ყრმალა იყო, ხუთ წლად მოდგებოდა იესუ“ („სიყრმე უფლისაი“);

„იყო ესე ევფიმიანე, კაცი მოსწრაფეი და მართალი“ („ცხოვრებაი ევფიმიანე და ალექსისი“);

„გვიტხრობდა ამბა ბასილი, მღდელი საბანმინდელი“ („წამები მიქაელისი“);

„იყო ეგვიპტეს დედაკაცი ერთი, რომელსა ერქუა ნისიმე“ („ცხოვრებაი ნისიმესი“).

კამერტონი შემთხვევით არ გვიხსენებია.

საწყისი წინადადების ტონალობას მიჰყვება დანარჩენი ტექსტი ფინალამდე. ეს წესია, – პირველი ფრაზის პოეტიკა!

მხატვრული საშუალებების გამოყენება კიმენის ავტორისათვის თვითმიზანი არ არის. თუ იყენებს, მწირად, მარტივად, შაბლონურად, მინიმუმამდე დასული ეფექტით.

მონამის ან მოღვანის ცხოვრების აღწერისას კიმენში ნაკლებად ვხვდებით ტროპის სახეებს, მაგრამ ბიბლიური თემების გადამუშავებისას არცთუ იშვიათია მათი გამოყენება, ოღონდ ავტორი გვთავაზობს არა ორიგინალურ, არამედ კარგად ცნობილ ბიბლიურ ფიგურებსა და პარადიგმებს.

ასეა, არის გამოხატული ამბის დრამატიზების ტენდენციები. მაგალითად, „ცხოვრებაი სინა-რაითის მამათაი“ დანვრილებით აღწერს, როგორ ხოცავენ შემოსეული არაბები ბერებს. ყველა ტექსტში მეტ-ნაკლებად გამოქმულია შტრიხები. იკვეთება რიტორიკული – სტილური დომინანტა.

თუ სადმე ჩანს ავტორის შედარებითი თავისუფლება, ეს მხატვრული გამოსახვის სფეროა. ავტორი თხზულებისა „ცხოვრებაი პანსოფი ალექსანდრიელისაი“ ერთ თავს მთლიანად უძღვნის მარხვის მნიშვნელობას ქრისტიანული სინმინდის დაცვის საქმეში. მონაკვეთი უჩვეულო აღტყინებითაა დანერილი. ავტორს სხვა სივრცეში გადავყავართ. ის გრძნობს შემოქმედებით თავისუფლებას და ამას ჩვენც გვაგრძნობინებს პოეტური ლიცენციის, ერთგვარი სუგესტიურობის მეშვეობით. თხზულების მე-14 თავი, რომელშიც გამოყენებულია 450 სიტყვა, აგებულია გამეორების ხერხზე და შეიცავს არაერთ მეტაფორას, ეპითეტსა და გაპიროვნებას.

არტიფაქტის როლს ასრულებს აგრეთვე დიალოგი და პოლემიკა, ანუ სიტყვისგება, რომელიც წარმოგვიდგება ქრისტიანობისა და წარმართობის ანტინომიის სახით. ამას პოლემიკა შეიძლება პირობითად ეწოდოს, რადგან ეპიზოდი „დადგულია“, წმინდანი ქადაგებს ბიბლიურ ჭეშმარიტებებს და ამტკიცებს ქრისტიანობის უპირატესობას წარმართობის წინაშე. „პოლემიკის“ სტილი ჟანრის შესაბამისია – ლიტონი, უბრალო, მარტივი.

უბრალოება და სიმარტივე კიმენის გარეგნული თვისებებია, შინაგანად ინტენციურია, მისწრაფვის ჟანრული კანონის, როგორც ფუნქციის, ამოცა-

ნის, ინსტრუქციის, სრულყოფისაკენ; კიმენის შინაგანი არსი დიაქრონიულიც არის, მისწრაფება ხორციელდება დროსა და სივრცეში შემდეგი გეზით: ქარტა – კიმენი – მეტაფრასი.

#### დამონმებანი:

K'ek'elidze, K'. *Et'iudebi Dzveli Kartuli Lit'erat'ures Ist'oriidan*. T'. XI. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“, 1972 (კეკელიძე კ. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. XI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972).

K'imeni. *Kartuli Hagiograpiuli Dzeglebi*. T'. I. K'. K'ek'elidzis redakt'orobit. 1918 (კიმენი. *ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები*. ტ. I. კ. კეკელიძის რედაქტორობით. ტფილისი: 1918).

K'imeni. *Kartuli Hagiograpiuli Dzeglebi*. T'. II. Redakt'ori K'. K'ek'elidze. Tbilisi: Sakartvelos metsnierebata akademiis gamomtsemloba, 1946 (კიმენი. *ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები*. ტ. II. რედაქტორი კ. კეკელიძე. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946).

**Ivane Amirkhanashvili**  
**(Georgia)**

### **The Canon as a Function** **(Kimen)**

#### **Summary**

**Key words:** accounts, energy, accuracy, transparency, simplicity.

Here, life repeats itself. The reality is on the verge of self-identity. The word comes to the reality as close as possible. The action and phrase are in unison. Spoken intonation and calm tonality represent a specific sign of the text. The subjects and idea appear in one mould.

Everything serves the continuity of narration. The narrative is linear and consistent, without pauses: the more accounts, the less judging; the more energy, the less embellishment; the more the main, the less the secondary. Documentary accuracy prevails over literary expressiveness.

There is nothing that can be called an accessory. There is nothing accidental, excessive and unnecessary; the text develops, spreads but it is not written.

Every phrase, paragraph and episode breathes the spirit of the finiteness, finality. The reader's attention is mobilized and directed towards the development of an action. The primacy of the narrative is felt in every detail.

The rational plot is an integral, unified material which consists of organically related parts. The narrative is divided into episodes, stories, pictures. The prevention of

monotony is carried out by the equilibrium of the narrative, the dialectic development of the thought, cause-and-effect relation between the paragraphs.

The goal: to render the meaning in the simplest, immediate and spontaneous forms; to create a maximum degree of perception with minimal tension to the mind.

The result: light, orderliness and transparency in the narrative. Structural strength in the text. Energy and anti-chaos in the reception.

This is a “kimen” - a basic genre on which classical hagiography developed.

The source of Metaphrasis is Kimen. The “embelishment” of hagiographical texts or metaphrasing was started from Kimen.

In a word, Kimen is a plainly written, untreated, unaltered, not reduced, intact text of the saint’s martyrdom or life.

The language of Kimen is really simple, but not conversational; the narration is easy, natural but not naturalistic; trope system is scarce but not poor; the text is a template but not boring; there is no room for witticism and philosophy, but we have moderate rhetoric, equal rhythm, short pauses, successive order of events, plot dynamics.

Dynamism is achieved not by the development of the trope system, but by the intensity of everyday life. The metaphor, comparison, epithet are rarely used but instead of this there is an intensification of the narrative in which the main function is attached to the account, fact, event. Actual reality is the main reference point. The life stream - without any impurities! The matter covers metaphysics. Documentation excludes fiction, empiricism dominates over the fantasy.

The influence of the Greek language is noticeable in the texts in the sense that conjunction “and” is very often used both at the beginning of the sentence and within the sentence. This is not surprising since the writings are translated from the Greek.

Correct grammar and sophisticated style fill the deficit of a trope. During the reading, it seems that you are dealing with an ordinary Metaphrast, but in reality Kimen is so different from Metaphraste as an oral story from the written text. The illusion of similarity, first of all, is created by a rich vocabulary and harmonious syntax.

Kimen is a text of rational appearance; the phrase is awake with rationality.

An author as subject, maximally defends neutrality: does not interfere with the dynamics of the narrative, does not disturb the reader, but through characteristic spontaneity and naturalness shortens the distance between the text and the reader, thus strengthening the emotional connection with the listener.

The sensible form is created not by the trope and other auxiliary means, but by the fact, the clearly expressed real contours of the fact.

The author is not seen in the foreground, he is not active. Maybe he mentions his name in the postscript to the text and it’s all. The author’s identity is secondary because the main thing is an account, the holy of holies, the alpha and omega of a composition.

The author is a narrator rather than a chronicler. He is not interested in the biography, birth childhood, family, everyday trifles of his main character. All attention is focused on a narrative that represents a conflict with anti-Christian forces that should become a legend, a means of influencing the consciousness of subsequent generations.

In Kimen it is difficult to single out an individual style, but one can see an individual attitude to the canon of the genre. The author uses this or that form of narration as needed. The narrative is conducted with the help of both the third and the first person; the thought and emotion are brought to the reader directly, plainly, without pressure; communication is realized by means of clearly expressed sensitivity, evaluation, categorization and expression; there are used subjective and logical forms of rendering, but in no case objective or neutral.

He works for the result, has an addressee and knows how to influence his emotions and mood, is purposeful, active, with effective influence, creates a scheme – well-expressed, dry, compact.

The author protects the existing template, the canon, the rule, the standard, the scheme in order to maintain the topicality in time and space; follows poetics of a small genre - starts with a short introduction, continues with an extensive plot and ends with a short finale.

Kimen has an established style and form. Compared to Metaphrast, it is of a small form but still we cannot call it a miniature prose, because the narrative method in its character is epic. Neither voluminous standard is seen, but there are small texts and extensive compositions.

The tonality of the initial sentence is followed by the rest text up to the finale. This is a rule, - the poetics of the first phrase!

The use of artistic literary devices is not a goal in itself for the author of the Kimen. If he still uses them, then he uses scantily, simply, conventionally, with the effect brought to a minimum.

Describing the life of a martyr or figure, the varieties of Kimen are less found in trope, but when treating the biblical themes, their use is not so rare, the author suggests not original but well-known biblical figures and paradigms.

Obviously, the tendencies of dramatization the narration are well expressed. For example, “The Life of Sina-Raiti Fathers” describes in details how invading Arabs kill monks. In each text, the strokes are more or less darkened. The rhetoricalness - the stylistic dominant is pronounced.

If the author’s relative freedom is seen somewhere, then this is the sphere of artistic imagination. The role of the artifact is also played by dialogue and polemic that is a discourse presented as an antinomy between Christianity and Paganism. This can be conditionally called polemics since the episode is “staged”, the saint preaches the biblical truths and proves the advantage of Christianity over paganism. The style of controversy is relevant to the genre -simple, plain, easy.

The simplicity and plainness are external properties of the Kimen, internally intentional, tends to the perfection of genre canon as a function, task, instruction; the internal essence of the Kimen is also diachronic, the aspiration is realized in time and space in the following direction - Kimen – Metaphrast.